

საგამოცდო საკითხები და ქვესაკითხები

ალერგოლოგიასა და კლინიკურ იმუნოლოგიაში

1. იმუნური სისტემის ცენტრალური ორგანოების: ძვლის ტვინის, თიმუსის ფუნქცია.
2. იმუნური სისტემის პერიფერიული ორგანოები: ლიმფური კვანძები, ელენთა, კუჭნაწლავის ტრაქტის ლიმფური ფოლიკულები.
3. იმუნური სისტემის უჯრედები:
 - 3.1. ლიმფოციტები - ლიმფოციტების პოპულაციები და სუბპოპულაციები;
 - 3.2. ფაგოციტები - მაკროფაგები და მონოციტები, ნეიტროფილები, ეოზინოფილები;
 - 3.3. ბაზოფილები და პოხიერი უჯრედები.
4. იმუნური სისტემის განვითარება: ფილოგენეზი, ონტოგენეზი.
5. იმუნიტეტის მექანიზმები.
6. ჰუმორული იმუნიტეტი, პირველადი იმუნური პასუხი, მეორადი იმუნური პასუხი.
7. იმუნოგლობულინების სტრუქტურა.
8. ანტისხეულების მრავალგვარობა.
9. იმუნოგლობულინების მოლეკულების ცალკეული უბნების ფუნქციები, Fab-ფრაგმენტი, Fc-ფრაგმენტი.
10. იმუნოგლობულინების კლასები: IgG, IgM, IgA, IgD, IgE.
11. უჯრედული იმუნიტეტი, ჰისტოთავსებადობის მთავარი კომპლექსი, HLA.
12. ფაგოციტები, მოცირკულირე და ქსოვილოვანი; ქემოტაქსისი, ოპსონიზაცია, ფაგოციტოზი.
13. კომპლემენტი. კომპლემენტის აქტივაციის კლასიკური და ალტერნატიული გზები.
14. მემბრანის შემტევი კომპლექსის წარმოქმნა.
15. ანტიგენები. სრულფასოვანი ანტიგენები, ჰაფტენები. ორგანიზმში მოხვედრის გზები.
16. ალერგიული რეაქციების კლასიფიკაცია.
17. დაუყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქციები.
18. ციტოტოქსიკური ალერგიული რეაქციები.
19. იმუნოკომპლექსური ალერგიული რეაქციები.
20. შენელებული ტიპის ალერგიული რეაქციები.
21. პოხიერი უჯრედები. მედიატორების გამოთავისუფლების მექანიზმები.
22. ანთების მედიატორების როლი დაუყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქციის განვითარებაში.
23. პოხიერი უჯრედების გრანულების მედიატორები. ჰისტამინი, ფერმენტები, პროტეოგლიკანები, ქემოტაქსისის ფაქტორები.
24. სინთეზირებადი მედიატორები პოხიერი უჯრედების გააქტივებისას. არაქიდონმჟავას მეტაბოლიზმი. პროსტაგლანდინები, ლეიკოტრიენები, თრომბოციტების აქტივაციის ფაქტორი.
25. ანთების სხვა მედიატორები: ადენოზინი, ბრადიკინინი, სეროტონინი, კომპლემენტი.
26. დაუყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქციებით განპირობებული დაავადებების დიაგნოსტიკა.
27. ალერგოლოგიური ანამნეზი.
28. ფიზიკალური გამოკვლევები ალერგოლოგიაში.

29. ლაბორატორიული გამოკვლევები. სისხლის საერთო ანალიზი. ეოზინოფილია. ეოზინოფილები ნაცხში.
30. სისხლის შრატში IgE-ს საერთო დონე.
31. კანის სინჯები. ალერგენების ჩვენება და არჩევა.
32. სიფრთხილის ზომები კანის სინჯების ჩატარებისას. ჩატარების ტექნიკა. ჩხვლეტითი (პრიკ) ტესტები. სკარიფიკაციული ტესტები. კანშიდა ტესტები.
33. კანის სინჯებით მიღებული შედეგების შეფასება.
34. პროვოკაციული სინჯები. ძირითადი უპირატესობა. ძირითადი ნაკლი.
35. პრაუსტნიც-კიუსტნერის რეაქცია.
36. სპეციფიკური IgE-ს განსაზღვრის მეთოდები.
37. პოხიერი უჯრედების მიერ ჰისტამინის გამოთავისუფლების რეაქციაზე დაფუძნებული მეთოდები.
38. გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა.
39. რენტგენოლოგიური გამოკვლევა ალერგოლოგიურ პრაქტიკაში.
40. ატოპიური დაავადებები.
41. საინჰალაციო ალერგენები. მათი წარმოშობა და ნაწილაკების ზომები.
42. ჰაერის სინჯების შემგროვების მეთოდები. გრავიტაციული მეთოდი.
43. მოცულობით-მეტრული მეთოდი. როტაციული სინჯ-შემგროვებლები. ასპირაციული სინჯ-შემგროვებლები. შედეგების შეფასება.
44. მცენარეების ყვავილის მტვრის ალერგენები. ამბროზია. მარცვლოვანები. ხე-მცენარეები.
45. სოკოვანი ალერგენები. სოკოების აგებულება, კლასიფიკაცია, გავრცელება, კონტაქტი სოკოებთან, კვლევის ლაბორატორიული მეთოდები.
46. ეპიდერმული ალერგენები.
47. ოთახის მტვერი. მიკროტკიპები.
48. მწერების ნაწილაკები, როგორც ალერგენები.
49. გარე გარემოს უარყოფითი ფაქტორები. კლიმატური პირობები (მაღალი ტენიანობის გავლენა შენობისშიდა ალერგენებზე).
50. ჰაერის დაბინძურება.
 - 50.1 სმოგი.
 - 50.2 ფოტოქიმიური სმოგი.
 - 50.3 ჰაერის დაბინძურება შენობებში.
51. ვირუსები და ბაქტერიები, როგორც ალერგენები.
52. ალერგიული დაავადებების მკურნალობა. ძირითადი პრინციპები. ალერგენებთან კონტაქტის შეწყვეტა.
53. ბრძოლა გარემოს უარყოფითი ფაქტორების წინააღმდეგ. ბრძოლის ტრადიციული მეთოდები. საყოფაცხოვრებო მოწყობილობები შიდა გარემოში ალერგენების შემცირების მიზნით.
54. გარემოს უარყოფითი ფაქტორების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური მეთოდები. მიკროტკიპები *Dermatophagoides spp.*, ტარაკნები, კატისა და ძაღლის ეპიდერმისი, სოკოები, თამბაქოს კვამლი, ჰაერის დაბინძურება, აქროლადი ნივთიერებები.
55. პაციენტთან ბინაზე ვიზიტი საცხოვრებელი გარემოს დათვალიერების მიზნით და სავარაუდო ალერგენების გამოსავლენად.
56. საცხოვრებელი გარემოს შეცვლა ალერგენების ელიმინაციის მიზნით.

57. ალერგიული დაავადებების მედიკამენტური მკურნალობა.
58. H1- და H2-ბლოკერები.
59. H1-ბლოკერების კლასიფიკაცია. ეთილენდიამინები. ეთანოლამინები. ალკილამინები. პიპერაზინები. პიპერიდინები. ფენოთიაზინები.
60. H1-ბლოკერების ფარმაკოკინეტიკა და ფარმაკოდინამიკა.
61. H1-ბლოკერების დანიშვნის ჩვენებები.
62. H1-ბლოკერების გვერდითი ეფექტები.
63. ადრენოსტიმულატორები და ადრენობლოკატორები.
64. ალფადრენოსტიმულატორები: ჩვენებები. დოზები და შეყვანის გზები. გვერდითი ეფექტები.
65. ალფადრენობლოკატორები ალერგოლოგიურ პრაქტიკაში.
66. ბეტადრენოსტიმულატორები. ფარმაკოკინეტიკა და ფარმაკოდინამიკა.
67. კატექოლამინები ალერგოლოგიურ პრაქტიკაში.
68. პრეპარატები, რომლებიც არ მიეკუთვნება კატექოლამინებს. დოზები და შეყვანის გზები. გვერდითი ეფექტები. სიფრთხილის ზომები.
69. თეოფილინი. ქიმიური აგებულება. ფარმაკოდინამიკა. ფარმაკოკინეტიკა.
70. თეოფილინის დოზები და ენტერალური მიღება.
71. თეოფილინის დოზები და ინტრავენური შეყვანა.
72. თეოფილინის პრეპარატები. შრატში თეოფილინის კონცენტრაციის კონტროლი.
73. თეოფილინის გვერდითი ეფექტები.
74. თეოფილინი რექტალური სანთლების სახით.
75. მკურნალობა თეოფილინით ჰიპერდოზირებისას.
76. M-ქოლინობლოკატორები ალერგოლოგიურ პრაქტიკაში.
77. კრომონები. ფარმაკოდინამიკა. ფარმაკოკინეტიკა. გამოყენების ჩვენებები.
78. კრომონების დოზები. გვერდითი ეფექტები. უკუჩვენებები.
79. ნედოკრომილი. ფარმაკოდინამიკა. ფარმაკოკინეტიკა. ჩვენებები.
80. ნედოკრომილი. გვერდითი ეფექტები. უკუჩვენებები.
81. კორტიკოსტეროიდები. ქიმიური აგებულება. ფარმაკოდინამიკა.
82. კორტიკოსტეროიდების ცვლა. სეკრეცია, ტრანსპორტი, მეტაბოლიზმი და გამოყოფა.
83. კორტიკოსტეროიდების სისტემური გამოყენების ჩვენებები.
84. კორტიკოსტეროიდების დოზები და გვერდითი ეფექტები.
85. ამოსახველებელი საშუალებები და მათი მოქმედების მექანიზმები.
86. დესენსიბილიზაციის არსი (სპეციფიკური იმუნოთერაპია ალერგოლოგიურ პრაქტიკაში).
87. ალერგენების ექსტრაქტები დესენსიბილიზაციის ჩასატარებლად.
88. ახალი პრეპარატები დესენსიბილიზაციისთვის. ალერგოიდები. პოლიმერიზებული ალერგენები.
89. ალერგენების ექსტრაქტების სტანდარტიზაცია.
90. ალერგენების სამკურნალო ექსტრაქტების მომზადება.
91. დესენსიბილიზაციის ჩვენებები და ეფექტურობა.
92. დესენსიბილიზაციის სქემები. დოზების გაზრდა. შემანარჩუნებელი დოზები.
93. დესენსიბილიზაციის სქემების შეცვლა.
94. დესენსიბილიზაციის ჩატარების პრინციპები.

95. ალერგიული რეაქციები ალერგენების ექსტრაქტების შეყვანაზე. ადგილობრივი რეაქციები. სისტემური რეაქციები. მკურნალობის ხანგრძლივობა.
96. დესენსიბილიზაციის არაეფექტურობა.
97. პაციენტთა განათლების როლი ალერგიულ დაავადებებზე უკეთესი კონტროლის თვალსაზრისით.
98. სეზონური ალერგიული რინიტი. პათოგენეზი.
99. სეზონური ალერგიული რინიტის კლინიკური სურათი.
100. სეზონური ალერგიული რინიტის დიაგნოსტიკა.
101. სეზონური ალერგიული რინიტის მკურნალობა. ალერგენთან კონტაქტისგან თავის აცილება.
102. სეზონური ალერგიული რინიტის მედიკამენტური მკურნალობა. H1 -ბლოკერები, ალფაადრენოსტიმულატორები. კრომოლინი. ნედოკრომილი.
103. სეზონური ალერგიული რინიტის მედიკამენტური მკურნალობა. ადგილობრივი მოქმედების კორტიკოსტეროიდები.
104. სეზონური ალერგიული რინიტის მედიკამენტური მკურნალობა. იპრატროპიუმის ბრომიდი. ლეიკოტრინების მოდიფიკატორები.
105. სრულწლიანი ალერგიული რინიტი. პათოგენეზი. კლინიკური სურათი. დიაგნოსტიკა.
106. სრულწლიანი ალერგიული რინიტის მკურნალობა.
107. ცხვირის პოლიპები, როგორც სრულწლიანი ალერგიული რინიტის ერთ-ერთი გართულება.
108. ვაზომოტორული რინიტი.
109. ეოზინოფილური არაალერგიული რინიტი.
110. რინიტის სხვა ფორმები (ინფექციური, მედიკამენტური, რინიტი ენდოკრინული დაავადებებისას).
111. ალერგიული რინიტის თანამედროვე კლასიფიკაცია ARIA-ს მიხედვით.
112. ალერგიული რინიტის კლასიფიკაცია სიმძიმის მიხედვით.
113. სინუსიტი. პათოგენეზი. კლინიკური სურათი. დიაგნოსტიკა.
114. სინუსიტის მკურნალობა.
115. შუა ყურის სეროზული ქრონიკული ანთება. ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკა, დიაგნოსტიკა.
116. შუა ყურის სეროზული ქრონიკული ანთების მკურნალობა.
117. თვალის ალერგიული დაავადებები. დიფერენციული დიაგნოსტიკა.
118. ალერგიული კონიუნქტივიტი. პათოგენეზი. კლინიკა. დიაგნოსტიკა.
119. ალერგიული კონიუნქტივიტის მკურნალობა.
120. გაზაფხულის კონიუნქტივიტი. პათოგენეზი. კლინიკა. დიაგნოსტიკა.
121. გაზაფხულის კონიუნქტივიტის მკურნალობა.
122. ატოპიური კერატოკონიუნქტივიტი. პათოგენეზი. კლინიკა. დიაგნოსტიკა.
123. ატოპიური კერატოკონიუნქტივიტის გართულებები.
124. ატოპიური კერატოკონიუნქტივიტის მკურნალობა.
125. კონიუნქტივიტი დვრილების ჰიპერპლაზიით. პათოგენეზი. კლინიკა. დიაგნოსტიკა. მკურნალობა.
126. თვალის დაზიანება ვასკულიტის დროს.
127. უვეიტი: პათოგენეზი. კლინიკა. დიაგნოსტიკა. მკურნალობა.

128. ალერგოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენებული ოფთალმოლოგიური სამკურნალო საშუალებების გვარდითი ეფექტები.
129. ბრონქული ასთმა. დეფინიცია.
130. ბრონქული ასთმის პათოგენეზი.
131. სასუნთქი გზების ობსტრუქციის გამომწვევი პათოლოგიური ცვლილებები.
132. ბრონქული ასთმით დაავადებული პაციენტის გამოკვლევა.
133. ფიზიკალური გამოკვლევები ბრონქული ასთმის შეტევის დროს.
134. ფიზიკალური გამოკვლევები ბრონქული ასთმის მძიმე შეტევის დროს.
135. ბრონქული ასთმით დაავადებული პაციენტის ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები.
136. ბრონქული ასთმით დაავადებული პაციენტის გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა.
137. გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევის მეთოდები.
138. გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევის მიზნები.
139. არტერიული სისხლის გაზების გამოკვლევა (PaO₂, PaCO₂).
140. პროვოკაციული სინჯები ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტებში.
141. ბრონქული ასთმის გართულებები.
142. პნევმოთორაქსი და პნევმომედიასტინუმი.
143. ბრონქოექტაზიები.
144. გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ გართულებები ბრონქული ასთმის დროს.
145. ასთმური სტატუსი.
146. სუნთქვის უკმარისობა.
147. დიფერენციული დიაგნოსტიკა ბრონქული ასთმის შეტევის დროს.
148. დიფერენციული დიაგნოსტიკა ბრონქული ასთმის შეტევათა შორის პერიოდში.
149. ბრონქული ასთმის (ბა) მკურნალობა. არამედიკამენტური მკურნალობა. პაციენტის განათლება. რელაქსაციის მეთოდები.
150. ბრონქული ასთმის შეტევების გამომწვევი ფაქტორების მოცილება. დესენსიბილიზაცია.
151. ბრონქული ასთმის მედიკამენტური მკურნალობა. ბრონქოდილატატორები. მეთილქსანტინები.
152. M-ქოლინობლოკატორები ბრონქული ასთმის მკურნალობისას. კრომოლინი. ნედოკრომილი.
153. კორტიკოსტეროიდები ბა-ის მკურნალობისას. ჩვენებები, შეყვანის გზები და დოზირება (თერაპიული სქემები). გვერდითი ეფექტები.
154. ბრონქული ასთმის მართვის პრინციპები.
155. ანტი-IgE თერაპია. ომალიზუმაბი.
156. მძიმე ბრონქული ასთმის მკურნალობა.
157. ფიზიკური დატვირთვით განპირობებული ბრონქული ასთმა.
158. ასპირინული ბრონქული ასთმა.
159. სულფიტური ბრონქული ასთმა.
160. ბრონქული ასთმა ორსულებში.
161. ბრონქული ასთმა და გასტრო ეზოფაგური რეფლუქსი.
162. პროფესიული ბრონქული ასთმა.
163. ეგზოგენური ალერგიული ალვეოლიტი.
164. მწვავე ეგზოგენური ალერგიული ალვეოლიტი ბრონქული ასთმის დროს.

165. ქრონიკული ეგზოგენური ალერგიული ალვეოლიტი.
166. ალერგიული ბრონქ-პულმონური ასპერგილოზი.
167. ფილტვის ეოზინოფილია.
168. გუდასაჩერის სინდრომი.
169. ვეგენერის გრანულომატოზი.
170. სარკოიდოზი.
171. იდიოპათიური მაფიბროზებული ალვეოლიტი.
172. დიფუზური ნეიროდერმიტი.
173. მულტიფორმული ერთემა. სტივენს-ჯონსონის სინდრომი. ლაელის სინდრომი.
174. მარტივი კონტაქტური დერმატიტი.
175. ალერგიული კონტაქტური დერმატიტი.
176. ფოტოტოქსიკური და ფოტოალერგიული რეაქციები.
177. ურტიკარია (ჰინჭრის ციება).
178. ანგიონევროზული შეშუპება (კვინკეს შეშუპება).
179. მწვავე ურტიკარია და ანგიოედემა.
180. ქრონიკული ურტიკარია.
181. ქოლინერგული ურტიკარია.
182. ურტიკარია განპირობებული ფიზიკური ფაქტორებით.
183. ურტიკარიული დერმოგრავიზმი.
184. ზეწოლის ურტიკარია.
185. მზის ალერგია (ურტიკარია).
186. სიცივის ალერგია (ურტიკარია).
187. აქვაგენური ურტიკარია.
188. ვიბრაციული ურტიკარია.
189. სითბური ურტიკარია.
190. კონტაქტური ურტიკარია.
191. ფიზიკური დამაბვით განპირობებული ანაფილაქსიური რეაქციები.
192. ურტიკარია შრატის დაავადების დროს.
193. პაპულოზური ურტიკარია.
194. ურტიკარიული ვასკულიტი.
195. აუტოიმუნური პროგესტერინული დერმატიტი.
196. მაკლ-უელსის სინდრომი.
197. მემკვიდრეობითი ანგიოშეშუპება.
198. C1-ესთერაზას ინჰიბიტორის შეძენილი უკმარისობით განპირობებული ანგიოშეშუპება.
199. მასტოციტოზი.
200. პერიოდული ანგიოშეშუპება ეოზინოფილიით.
201. ანაფილაქსიური რეაქციები. ანაფილაქსიის ეტიოლოგია.
202. ანაფილაქსიის პათოგენეზი.
203. ანაფილაქსიის კლინიკური სურათი.
204. ანაფილაქსიის დიაგნოსტიკა.
205. ანაფილაქსიის დიფერენციული დიაგნოსტიკა.
206. ანაფილაქსიის მკურნალობა.

207. ანაფილაქსიური რეაქციების პროფილაქტიკა.
208. ანაფილაქტოიდური რეაქციები.
209. ალერგია მწერების შხამების მიმართ. ინსექტალერგია.
210. ადგილობრივი რეაქციები ინსექტალერგიისას.
211. სისტემური რეაქციები ინსექტალერგიისას (მწერების დანესტვისას).
212. ინსექტალერგიის დიაგნოსტიკა.
213. ინსექტალერგიის მკურნალობა.
214. ინსექტალერგიის პროფილაქტიკა.
215. დესენსიბილიზაცია ინსექტალერგიის დროს.
216. ალერგიული რეაქციები მწერების ნაკბენებზე.
217. მედიკამენტური მკურნალობების გართულებების კლასიფიკაცია (A და B ტიპის რეაქციები).
218. სამკურნალო საშუალებებისადმი შეცვლილ მგრძობელობასთან დაკავშირებული გართულებები.
219. მედიკამენტების აუტანლობა.
220. იდიოსინკრაზია.
221. მედიკამენტური ალერგია.
222. მედიკამენტური ალერგიის გამოვლინებები.
223. მედიკამენტური ალერგიის იმუნოლოგიური კლასიფიკაცია.
224. მედიკამენტური ალერგიის კლინიკური კლასიფიკაცია.
225. განსხვავება მედიკამენტურ ალერგიასა და მედიკამენტური საშუალებების ტოქსიკურ ზემოქმედებას შორის.
226. მედიკამენტური ალერგიის დიაგნოსტიკა. ანამნეზური მონაცემები.
227. კანის სინჯები მედიკამენტების მიმართ დაუყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქციების დროს.
228. კანის სინჯები, მედიკამენტების მიმართ დაყოვნებული ტიპის ალერგიული რეაქციების დროს.
229. აპლიკაციური სინჯები მედიკამენტური ალერგიის დროს.
230. მედიკამენტური ალერგიის პროფილაქტიკა.
231. მედიკამენტური ალერგიის მკურნალობა.
232. მედიკამენტური მკურნალობის გართულებების ცალკეული შემთხვევები. ალერგია პენიცილინებისადმი.
233. ასპირინის აუტანლობა.
234. ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებების გვერდითი ეფექტები.
235. ანაფილაქსიური რეაქციები ზოგადი ანესთეზიის დროს.
236. ალერგია ლატექსის მიმართ.
237. ანაფილაქტოიდური რეაქციები რენტგენსაკონტრასტო საშუალებებზე.
238. ალერგია ინსულინის მიმართ და ინსულინრეზისტენტობა.
239. შრატისმიერი დაავადება.
240. კვებითი ალერგია. გავრცელება. კლინიკური სურათი.
241. კვებითი ალერგენები. დიაგნოსტიკა, ფიზიკალური და ლაბორატორიული გამოკვლევები.
242. კვებითი ალერგიის მკურნალობა.
243. კვებითი ალერგიის მედიკამენტური მკურნალობა.
244. კვებითი ალერგიის მსგავსი სხვა მდგომარეობები.

245. კვებითი ალერგიის დიფერენციული დიაგნოსტიკა.
246. მუკოვისციდოზი.
247. ცელიაკია.
248. სტეატორეა ნაწლავური ინფექციების გადატანის შემდეგ.
249. დისაქარიდაზების დეფიციტი.
250. გალიზიანებული ნაწლავის სინდრომი.
251. ძროხის რძის აუტანლობა.
252. აუტოიმუნური დაავადებები.
253. აუტოიმუნური დაავადებების ეტიოლოგია.
254. აუტოიმუნური დაავადებების პათოგენეზი.
255. ედს-ის დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აუტოიმუნური დაავადებების დროს.
256. C-რეაქტიული ცილის დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აუტოიმუნური დაავადებების დროს.
257. რევმატოიდული ფაქტორის დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აუტოიმუნური დაავადებების დროს.
258. ანტინუკლეარული ანტისხეულები. დიაგნოსტიკური მნიშვნელობა.
259. ანტინუკლეარული და სხვა აუტოანტისხეულების სპეციფიკური გამოკვლევა.
260. ანტისხეულები ექსტრაგირებული ბირთვული ანტიგენებისადმი.
261. ანტიცენტრომერული ანტისხეულები.
262. ანტისხეულები ჰისტონებისადმი.
263. ანტისხეულები ციტოპლაზმის, სხვადასხვა ტიპის უჯრედებისა და კომპონენტებისადმი.
264. ანტიფოსფოლიპიდური ანტისხეულები.
265. სისტემური ვასკულიტების დროს გამოვლენილი ანტისხეულები.
266. კომპლემენტის გამოკვლევა. კომპლემენტის ჰემოლიზური აქტივობა.
267. C3-ის და C4-ის განსაზღვრა. დიაგნოსტიკური ღირებულება.
268. კრიოგლობულინები. გამოვლენის მეთოდები. დიაგნოსტიკური ღირებულება.
269. HLA-ანტიგენები. დაავადებებთან კავშირი.
270. HLA-B27 ანტიგენები.
271. HLA-DR4 ანტიგენები.
272. სინოვიური სითხის გამოკვლევა.
273. სისტემური წითელი მგლურა.
274. რევმატოიდული ართრიტი.
275. იუვენილური ართრიტი.
276. შემაერთებელი ქსოვილის შერეული დაავადება და ჯვარედინა სინდრომი.
277. პოლიმიოზიტი.
278. სკლეროდერმია და სკლეროდერმიული მდგომარეობა.
279. დიფუზური ეოზინოფილური ფასციიტი.
280. სამკურნალო საშუალებებითა და ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეული სკლეროდერმიული მდგომარეობები.
281. შეგრენის სინდრომი.
282. სერონეგატიური სპონდილოართროპათიები.
283. მალაკირებელი სპონდილიტი.
284. რეიტერის სინდრომი.

285. ფსორიაზული ართრიტი.
286. ართრიტები ნაწლავთა ქრონიკული ანთებითი დაავადებების დროს.
287. არადიფერენცირებული სპონდილოართროპათია.
288. სისტემური ვასკულიტები.
289. ვასკულიტები მსხვილი სისხლძარღვების უპირატესი დაზიანებით.
290. ვასკულიტები წვრილი და საშუალო კალიბრის სისხლძარღვების უპირატესი დაზიანებით.
291. ვასკულიტები წვრილი სისხლძარღვების უპირატესი დაზიანებით.
292. სხვა აუტოიმუნური დაავადებები. პერიოდული დაავადება. რევმატიზმი.
293. ლაიმის დაავადება.
294. იმუნური ჰემოლიზური ანემიები.
295. მძიმე ტრანსფუზიული რეაქციები. მსუბუქი ტრანსფუზიული რეაქციები.
296. სისხლძარღვთაგარე ჰემოლიზით განპირობებული აუტოიმუნური ჰემოლიზური ანემია.
297. სისხლძარღვთაშიდა ჰემოლიზით განპირობებული აუტოიმუნური ჰემოლიზური ანემია.
298. ახალშობილთა ჰემოლიზური ანემია. იმუნური თრომბოციტოპენია.
299. ტრანსპლანტანტის მოცილების რეაქცია.
300. პირველადი იმუნოდეფიციტები.